დმანისის მუნიციპალიტეტი იწყებს მონაწილეობითი ბიუჯეტის ფორმირებას!

შენ შეგიძლია დაწერო პროექტი, მიაწოდო შენი იდეა მუნიციპალიტეტს და დააკვირდე პროექტის განხორციელებას.

რა არის მონაწილეობითი ბიუჯეტი?

მონაწილეობითი ბიუჯეტი დემოკრატიის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია – საზოგადოების ჩართულობა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.
მონაწილეობითი ბიუჯეტი არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში.

დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 -2025 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის თანხა განისაზღვრა ჯამში 50 000 ლარის ოდენობით.

პროექტის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს ქალაქ დმანისის ტერიტორიაზე. პროექტის ინიციატორის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს, პროექტის განხორციელება უნდა შედიოდეს დმანისის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში, ემსახურებოდეს მოსახლეობის კეთილდღეობას, და არა კერძო ბიზნესის ინტერესებს, და განხორციელებადი იყოს 2025 წლის განმავლობაში.

საპროექტო განაცხადები მიიღება 2024 წლის 5 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით.
გამოაგზავნე პროექტი Email: dmanisi.mun@dmanisi.gov.ge
ან შემოიტანე წერილობითი სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში
მისამართი: ქ.დმანისი, წმინდა ნინოს ქ.#41

შერჩეული პროექტები დაფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში მოქალაქეთა მიერ პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებით.
პროექტების შერჩევის საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ მოქალაქეები კენჭისყრის გზით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე **dmanisi.gov.ge** და დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური FB გვერდი
https://www.facebook.com/DmanisiMun?mibextid=ZbWKwL

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით თქვენი ზონის კოორდინატორს:

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი დმანისში იქნა მხარდაჭერილი პროექტის „მონაწილეობითი საზოგადოების გაძლიერება სოციალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი და სრულყოფილი მონაწილეობისთვის“ მიერ რომელიც ხორციელდება HEKS-EPER Georgia-ს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

I ზონა- წმ.ნინოს ქუჩიდან ქვედა უბანი - ილიკო გირგვლიანი - მობ: 591 18 18 56
II ზონა-წმ.ნინოს ქუჩიდან ზედა უბანი - მურაზი მურჯიკნელი - მობ: 551 78 90 50

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის განაცხადის ფორმა

განმცხადებლის პირადი ინფორმაცია

სახელი / გვარი	
პ/ნ	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ–ფოსტა:	

პროექტის დასახელება :

რა პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება თქვენ მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა?
(მაქსიმუმ 50 სიტყვა)

ვინ არიან **საპროექტო ინიციატივის პოტენციალური მომხმარებლები ? (მიუთითეთ რაოდენობებიც)**

☐ ბავშვები (მიუთითეთ რაოდენობა სავარაუდოდ) _____	☐ ახალგაზრდობა (მიუთითეთ რაოდენობა სავარაუდოდ)_____	☐ ქალები (მიუთითეთ რაოდენობა სავარაუდოდ)_____
☐ ასაკოვანი (მიუთითეთ რაოდენობა სავარაუდოდ) _____	☐ სტუდენტები (მიუთითეთ რაოდენობა_____	☐ შშმ პირები (მიუთითეთ რაოდენობა სავარაუდოდ)_____

სხვა:

პროექტის აღწერა (ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში აუცილებელია იმ ადგილის და ფართობის მითითება, სადაც გსურთ პროექტის განხორციელება, თუ შეძლებთ მიუთითეთ საკადასტრო კოდი შესაძლებლობის შემთხვევაში წარმოადგინეთ თქვენი ხედვა ვიზუალური სახით/ესკიზი.)

(მაქსიმუმ 300 სიტყვა)	☐ საჭიროებისშემთხვევაში. გაგრძ. დანართში.....

პროექტის სავარაუდო ღირებულების წინასწარი შეფასება მისი კომპონენტების მითითებით (პროექტის ბიუჯეტი): (არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ დეტალური ხარჯთაღიცხვა)

კომპონენტები/ღირებულება	*ჯამური ღირებულება*
დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა (ივსება მერის უფლებამოსილი პირის მიერ) :	

შევსების თარიღი :_____

მიღების თარიღი :_____

ინიციატორის ხელმოწერა: _____

მოქალაქეების ხელმოწერა, სადაც განხორციელდება პროექტი
(მინიმუმ 10 ხელმომწერი)

სახელი გვარი	მისამართი	ხელმოწერა

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის კოორდინატორი (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

(ივსება მერის უფლებამოსილი პირის მიერ) :

- (I ზონა) _____
- (II ზონა) _____
- _____

ამ ფორმის ხელმოწერით თანხმობას აცხადებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრაციული და კომუნიკაციის მიზნებისთვის.